



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ინფორმაცია თვის მიმოხილვა

2023

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრიგატები.....	15


“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია


2022 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციამ 9.8% შეადგინა, ხოლო ნოემბერთან შედარებით ფასები 0.3%-ით შემცირდა.

საქართველოში ინფლაციამ პიკური პერიოდი გადალახა და ბოლო თვეებში შემცირების ტრენდი აქვს. საერთაშორისო ბაზრებზე საქონლის ფასები კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდება, თუმცა უკანასკნელ თვეებში გარკვეული სტაბილიზაცია და კლების ტენდენცია შეინიშნება, რამაც ლარის გამყარებასთან და გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკასთან ერთად საქართველოში ინფლაციის შემცირებას ხელი უნდა შეუწყოს.

თვის ინფლაცია -0.3% (წვლილი)



წლიური ინფლაცია 9.8% (წვლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, ყველაზე შესამჩნევ ბენზინის 6%-ით გაიზარდა იყო, რამაც თვის ინფლაცია 0.2 პპ-ით შეამცირა. სიგარეტის 2%-ით გაძვირებამ კი ინფლაცია 0.1 პპ-ით გაზარდა.

სურსათზე ფასების ზრდამ დეკემბრის წლიურ ინფლაციაში 4.8 პპ-იანი წვლილი შეიტანა. აქედან გამოსარჩევი პურზე, ყველზე და კარტოფილზე გაზრდილი ფასებია. ამ პროდუქტების წვლილი ჯამში 2.0 პპ-ს შეადგენდა. ბოლო თვეებში საწვავი თანდათან იაფდება. პარალელურად საწვავის წვლილიც ინფლაციაში მცირდება. დეკემბერში ეს მაჩვენებელი 0.1 პპ-მდე შემცირდა.


საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, მთლიან ინფლაციასთან შედარებით დაბალი იყო და 6.8%-ს შეადგენდა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში





წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ინფლაციის შემცირებას მეცნიერულ იმპორტირებული ინფლაციის კლება განაპირობებს. ბოლო თვეებში იმპორტირებულ ინფლაციას კლების ტენდენცია აქვს, რასაც საერთაშორისო ბაზრებზე სასაქონლო პროდუქტების ფასების გარკვეულ სტაბილიზაციასა და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებასთან, ერთად ლარის კურსის გამყარება უწყობს ხელს. დეკემბერში იმპორტირებული ინფლაცია 5.5%-მდე შემცირდა.

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია მაღალია და 13.8%-ს შეადგენს. მაღალი ადგილობრივი ინფლაცია ერთი მხრივ, სურსათის (პური, ყველი, ხორცის) ფასების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, მომსახურების გაძვირებას უკავშირდება, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია ბინის ქირის (წვლილი ინფლაციაში 0.7 პპ) და სანოცარო გადასახდელის გაძვირება (0.3 პპ).

იმპორტირებული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


ინფლაცია დეტალურად	2022 წლის წონები	დეკ22/ნოვ22		დეკ22/დეკ21	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	-0.3%	-0.3%	9.8%	9.8%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.1%	0.4%	0.1%	16.3%	5.4%
სურსათი	30.2%	0.5%	0.1%	15.9%	4.8%
პური და პურპროდუქტები	6.1%	-0.7%	-0.1%	22.1%	1.3%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.7%	0.5%	0.0%	9.7%	0.7%
თევზი	0.5%	2.1%	0.0%	13.4%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.7%	1.2%	0.1%	17.5%	1.2%
ზეთი და ცხიმი	2.3%	-2.0%	0.0%	6.8%	0.2%
ხილი, ყურძენი	1.6%	-1.1%	0.0%	6.4%	0.1%
ბოსტნეული, ბაღიკეთი, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.5%	3.0%	0.1%	27.4%	1.0%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.2%	0.6%	0.0%	14.1%	0.3%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	-0.1%	0.0%	11.5%	0.1%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	-0.4%	0.0%	20.5%	0.6%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.7%	1.2%	0.1%	9.3%	0.6%
ცანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.9%	-1.7%	-0.1%	-2.5%	-0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	0.8%	0.1%	15.8%	1.4%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.2%	-1.1%	-0.1%	8.8%	0.5%
ჯანმრთელობის დაცვა	9.5%	-0.7%	-0.1%	-3.6%	-0.3%
ტრანსპორტი	11.8%	-2.7%	-0.3%	5.5%	0.6%
კავშირგაბმულობა	3.8%	-0.4%	0.0%	-0.3%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.0%	-1.4%	0.0%	3.6%	0.1%
განათლება	4.9%	0.0%	0.0%	6.6%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.9%	-0.1%	0.0%	14.8%	0.6%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	-0.3%	0.0%	11.6%	0.6%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	61.5%	-0.2%	-0.1%	10.5%	6.5%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.2%	-0.6%	0.0%	3.5%	0.3%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.7%	-2.8%	-0.1%	-6.5%	-0.3%
მომსახურება	26.6%	0.1%	0.0%	12.2%	3.3%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


2022 წლის ნოემბერში, საბანკო სექტორის სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად 6.89 მლრდ ლარით (თვიურად 280.7 მლნ ლარით) გაიზარდა და 42.6 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიციო ვალდებულებები წლიურად 19.28%-ით გაიზარდა, ძირითადად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. კერძოდ, ნოემბერში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიციო ვალდებულებები 346.7 მლნ ლარით (1.9%-ით) გაიზარდა და 18.4 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად იურიდიული პირების დეპოზიტების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, 170.8 მლნ დოლარით გაიზარდა, რაც ძირითადად ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდას უკავშირდება. ნოემბერში, სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 179.4 მლნ ლარით შემცირდა.

სადეპოზიციო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიციო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2022 წლის ნოემბერში დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით გაიზარდა და 5.74% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.04 პპ-ით გაიზარდა და 8.2% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ დეპოზიტებზე - 0.11 პპ-ით, 0.9%-მდე გაიზარდა. რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა, რაც მეცნილად ლარისა და ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთის ზრდამ განაპირობა. კერძოდ, ლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.4 პპ-ით გაიზარდა და 12.2% შეადგინა, ხოლო ევროს დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით, 0.78%-მდე გაიზარდა. დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 1.1%-მდე გაიზარდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაცია, 2022 წლის ნოემბერში წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით გაიზარდა და 57.1% შეადგინა. ნოემბრის ბოლოს, იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.8 პპ-ით შემცირდა და 43.9% შეადგინა, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.6 პპ-ით, 72.4%-მდე გაიზარდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ნოემბრის თვეში ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 1.9 პპ-ით, 66.8%-მდე შემცირდა.

დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გაორიფიცივით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფიზიკური პირების ვალდანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გაორიფიცივით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2022 წლის ნოემბერში, გაცვლითი კურსის ეფექტის გაორიფიცივით, სესხები წლიურად 13.8%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ცემპა წინა თვესთან შედარებით 0.04 პპ-ით მოიმადა. სესხების ზრდის ცემპის მადება მეცნილად უცხოური ვალუდით დაკრედიციების ზრდამ განაპირობა. ნოემბერში, ლარით დაკრედიციება წლიურად 17.6%-ით, 23.9 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 8.7 პპ-იანი წვლილი შეიციანა. უცხოური ვალუდით დაკრედიციება (გაცვლითი კურსის ეფექტის გაორიფიცივით) 10.1%-ით გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 5.1 პპ-იანი წვლილი შეიციანა. უცხოური ვალუდით დაკრედიციების ზრდა ძირითადად ბიზნეს სესხების ზრდით არის განპირობებული. წინა თვესთან შედარებით, შენელებულია სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების ზრდის ცემპები.

სესხების წლიური ზრდის ცემპი (კურსის ეფექტის გაორიფიცივით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წლიური ზრდის ცემპი; კურსის ეფექტის გაორიფიცივით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის ნოემბერში სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.04 პპ-ით გაიზარდა და 13.4% შეადგინა. ეროვნული ვალუდით სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით 16.7%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიციებზე საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით გაიზარდა და 7.6% დონეზეა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნაკალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაკალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით გაიზარდა და 2022 წლის ნოემბერში 14.0% შეადგინა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა ნოემბერში და 12.7% შეადგინა. წამყვანი ცენტრალური ბანკების მიერ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთების ზრდასთან ერთად ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთებმა მოიმატა და ზრდას განაგრძობს. კერძოდ, ნოემბერში, იურიდიული პირების უცხოური ვალუტის სესხების საპროცენტო განაკვეთებმა, წინა თვესთან შედარებით 0.5 პპ-ით, 8.1%-მდე მოიმატა. ასევე, წინა თვესთან შედარებით, უცხოური ვალუტის იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ით - 6.1%-მდე გაიზარდა.


უცხოური ვალუტის დაკრედიტების მაჩვენებლის ფონზე, ნოემბერში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციამ, წინა თვესთან შედარებით, 0.7 პპ-ით მოიმატა და 44.6%-ს გაუფოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია 60.9%-მდე გაიზარდა, ფიზიკური პირების დოლარიზაციის დონე 30.4%-ია. ნოემბერში, ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 48.7 მლნ ლარით გაიზარდა და 522.6 მლნ ლარს გაუფოლდა.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)

ვალუტის დივერსიფიკაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო საქმე

2022 წლის ნოემბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 24.9%-ით გაიზარდა და 752.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მატება ძირითადად საქონლის იმპორტის ზრდას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტი წლიურად 20.4%-ით, 1,244.0 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო ექსპორტი წლიურად 14.1%-ით გაიზარდა და 491.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა

საგარეო ბალანსი ძველების მიხედვით (ნოემბერი, 2022)




წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


იმპორტი - 2022 წლის ნოემბერში საქონლის იმპორტის ზრდა უმეტესად სამომხმარებლო საქონლის მატებამ განაპირობა. კერძოდ, **სამომხმარებლო საქონლის ზრდა მეტწილად მსუბუქი ავტომობილების (რაც ასევე მათზე მკვეთრად მომადგებელი ფასების ასახვას) და ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვების ზრდას უკავშირდება.** ნოემბერში მაღალი იყო შუალედური საქონლის იმპორტიც. შუალედური საქონლის იმპორტის ზრდაში მაღალი წვლილით ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები, ნავთობის აირები, შაქარი და ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინი გამოირჩეოდა. გარდა ამისა, ნოემბერში იმუნური შრატებისა და იმუნოლოგიური პროდუქტების იმპორტი წლიურად არსებითად შემცირდა. საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით რეალურად მხოლოდ 4.2%-ით გაიზარდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის ზრდაში მათალი წვლილი შეიცანა რუსეთმა, რაც, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე ნავთობის აირების შემოტანას უკავშირდება. თურქეთიდან იმპორტის ზრდა სიგარეტები-სიგარილებს, მსუბუქი ავტომობილებისა და ნავთობის ბიძუმი-კოქსის გაზრდილმა შესყიდვებმა გამოიწვია. სომხეთიდან იმპორტის მატება კვლავ სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების შემოტანამ განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან, კერძოდ, გერმანიიდან - მსუბუქი ავტომობილების, სერბეთიდან - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან - საცელეფონო აპარატების, აშშ-დან - რადიოსაცელეფონო აპარატურის, ჩინეთიდან - ფოლადის ნაგლინისა და რეზინის პნევმატური სალტეების, ნიდერლანდებიდან - საცელეფონო აპარატების იმპორტი გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, იმპორტის შემცირება აზერბაიჯანიდან - ნავთობის ბიძუმი-კოქსისა და ნავთობაირების, უკრაინიდან - სიგარეტები-სიგარილებისა და ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინის, ბრაზილიიდან - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო თურქმენეთიდან და რუმინეთიდან ნავთობპროდუქტების შემოტანის კლებით არის გამოწვეული. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 60% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


ნოემბერში იმპორტირებულ საქონელში, წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს, ასევე ნავთობპროდუქტებს (25%) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ ნოემბერში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ნოემბერთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (ნოემბერი, 2022, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 113	სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 102	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 100	ნავთობის აირები, 57		საცელეფონო აპარატები, 35
			სამკურნალო საშუალებები, 31	სიგარეტები, სიგარილები, 14	ძვირფასი ლითონების მადნები, 14
			გამომთვლელი მანქანები,...	მოკლადი/კაკოს მუხა პროდუქტები, 12	



წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში - (ნოემბერი, 2022)



წყარო: საქსტატი

ექსპორტი - 2022 წლის ნოემბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 14.1%-ით გაიზარდა. საქონლის ექსპორტის ზრდა მეტწილად სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა, ხოლო შუალედური საქონლის ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის მატებაში მნიშვნელოვანი წვლილი (30.2 კპ) მსუბუქმა ავტომობილებმა შეიტანა. გარდა ამისა, შუალედური სახის საქონლის ჯგუფში ფეროშენადნობების ექსპორტი მნიშვნელოვნად (წლიური 81%-იანი კლებით) შემცირდა, რამაც მთლიანი ექსპორტის ზრდა შეანელა. აღსანიშნავია, რომ მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტი კვლავ მათალი იყო. ნოემბერში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 16.1%-ით გაიზარდა.



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება


რეგიონის ქვეყნიდან საქსპორტო შემოსავლების ზრდაში მათალი წვლილი შეიცანა სომხეთში ექსპორტის მატებამ, რაც კვლავ მსუბუქი და საცვიროთო ავტომობილების გაზრდილ გაყიდვებს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნიდან ყაზახეთში, ყირგიზეთში, აზერბაიჯანსა და ტაჯიკეთში - მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. დანარჩენი ქვეყნიდან აღსანიშნავია პერუში, განასა და მავრიტანიში - მინერალური და ქიმიური სასუქების, ჩინეთში - ძვირფასი ლითონებისა და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო იტალიაში - თხილისა და კაკლის გაყიდვების ზრდა. ამის საპირისპიროდ, უკრაინაში - მსუბუქი ავტომობილების, ასევე მინერალური და ქიმიური სასუქების, რუმინეთში - მინერალური და ქიმიური სასუქების, ბულგარეთში - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო უზბეკეთში - სამკურნალო საშუალებების ექსპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 73% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

ნოემბერში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს ეჭირა (39%-იანი წილი მთლიან ექსპორტში). ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (13.3 კპ მთლიან ზრდაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიქანა, რომელიც წლიურად 129%-ით გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე ნავთობპროდუქტებზე, შერეულ საქონელზე, ქიმიურ სასუქებზე, მინერალურ წყლებსა და ყურძნის ღვინოებზე საგარეო მოთხოვნის მატება (ჯამურად 7.6 კპ წვლილი მთლიანი ექსპორტის ზრდაში) დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, ფეროშენადნობების, შავი ლითონების ჯართისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (ნოემბერი 2022, მლნ აშშ დოლარი)

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (ნოემბერი, 2022)

კატეგორია	მნიშვნელობა	კატეგორია	მნიშვნელობა
ყურძნის ნატურალური ღვინოები	32	მინერალური/ქიმიური სასუქები	27
კაკალი სხვა, ახალი ან გამომარი	14	მინერალური და მტკნარი წყლები	12
		ნავთობი და ნავთობპროდუქტები	10
მსუბუქი ავტომობილები	102	სპირტიანი სასმელები	13
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	91	დაგაზიანებული წყლები	9
		შერეული საქონელი	8




წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2022 წლის ნოემბერში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წელთან შედარებით 151.4%-ით მოიმატა და 521.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა -1.1%-ით 31.4 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.


რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები ნოემბერში კვლავ მათალი იყო (316 მლნ აშშ დოლარი), რაც წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 9.2-ჯერ მეტია. ნოემბერში, რეგიონის ქვეყნიდან, ყირგიზეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები მათალი ცემპით გაიზარდა (206.4%-ით) და მთლიანი გზავნილების ცვლილებაში 3.7 კპ წვლილი შეიქანა. აღსანიშნავია ასევე სომხეთიდან გაზრდილი გზავნილებიც (231.1%-ით). ხოლო აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ შემცირებას განაგრძობს. მათალი ცემპით გაიზარდა აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრებიც (20.0%-ით). რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ნოემბერში რუსეთი (60.7%), ევროკავშირის ქვეყნები (18.4%) და აშშ (5.5%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მათალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (ნომებში)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ცურიზში - 2022 წლის ნოემბერში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 150.5%-ით გაიზარდა. ცურისტების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების 71.8% შეადგინა და წლიურად 97.9%-ით მოიმატა. აღნიშნულ თვეში, ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობა საგრძნობლად (8-ჯერ) გაიზარდა. **მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები ზრდას განაგრძობს და ნოემბერში წლიურად 174.9%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები კრიზისამდელ დონეს აჭარბებს და 2019 წლის ნოემბერს 51.2%-ით აღემატება.** მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების ზრდა ძირითადად რუსეთიდან (84.6 კპ), თურქეთიდან (28.6 კპ), უკრაინიდან (16.6 კპ) და სომხეთიდან (8.7 კპ) შემოსავლების ზრდას უკავშირდება.

ვიზიტორთა ტიპები



წყარო: საქართველოს ცურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


2022 წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7858-დან 2.7282-მდე (2.1%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 2.7326-დან 2.7786-მდე (1.7%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7103 და 2.8390 შეადგინა. ნოემბერში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 2.7754, ხოლო მინიმალურმა 2.7088 შეადგინა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა მინიმალურთან შედარებით საშუალო დონიდან უფრო მეტად იყო გადახრილი.


ნოემბერში დოლართან მიმართებაში შესამჩნევია ევროს გამყარება, ასევე გამყარების ტენდენცია შქონდა ლარს, სომხურ დრამს და რუსულ რუბლს, თურქული ლირა კვლავ გაუფასურდა, ხოლო აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებაში. 2022 წლის ნოემბერი (ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები გამყარებას განაგრძობს. ნოემბერში წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 18.9%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 31.4%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვიურ ტენდენციას, წინა თვესთან შედარებით, ნოემბერში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.6%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.0%-ით გამყარდა. ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს. სავაჭრო პარტნიორთაგან ნოემბერში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ბელარუსსა და რუსეთში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო დაბალი - ევროზონაში, სომხეთსა და აშშ-ში. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვარი 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (2022 წლის ნოემბერი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის დინამიკები


ნოემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 13 ბანკი და 4¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მარკეტინგების მიხედვით კონცენტრაცია გაზრდილია. **ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.**

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 236.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 25.7 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის ნოემბერთან შედარებით 153.5 მლნ აშშ დოლარით მეტია. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 8.5%-ით, ხოლო წლიურად 58.0%-ით გაიზარდა.


2022 წლის ნოემბერში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (99.1%) და 2,630.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 823.2 მლნ აშშ დოლარით (თვიურად 14.3 მლნ აშშ დოლარით შემცირებულია) გაზრდილია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, დანარჩენი კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 4.2% იყო. ჯამურად წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ თვის განმავლობაში 110.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



საოც გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში საოც გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია. საერთო ჯამში, ნოემბერში საოც გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 452.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 0.5 მლნ აშშ დოლარით) და 1,375.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 371.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 14.8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,255.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოც გარიგებებით როგორც ვალუტის შექენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

ნოემბერში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 26.7 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვიურად 4.1 მლნ აშშ დოლარით) და 24.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებსა და იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 19.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი საოც გარიგებებით შექენილი და გაყიდილი უცხოური ვალუტა

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის ნოემბერში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა თვიურად 251.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. საერთაშორისო რეზერვებზე ზრდის მიმართულებით, ძირითადად, მთავრობისთვის ჩარიცხულმა საპროექტო სესხებმა და ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა, ხოლო კლების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ იმოქმედა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მილიონ რკმლით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

ნოემბერში სადებოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადებოზიტო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის სადებოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და ნოემბრის ბოლოს 80 მლნ ლარი შეადგინა.


ნოემბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ხუთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 320.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ნოემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 30, 80, 90 და 100, მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 64.7 მლნ ლარი შემცირდა და 6,527.6 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 58.6%-ს კომერციული ბანკების, 29.8%-ს ეროვნული ბანკის, 7.9%-ს რეზიდენტების, ხოლო 3.7%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.**

სადებოზიტო სერტიფიკატების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადებოზიტო სერტიფიკატებისა და სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები მონეარული პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს მერყეობს. ნოემბერში, სადებოზიტო სერტიფიკატებისა და სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. კერძოდ, ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.12 პპ-ით, 9.99%-მდე შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.10 პპ-ით შემცირდა და 9.97% შეადგინა. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 9.49% იყო, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.24 პპ-ით ნაკლებია. ორწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.22 პპ-ით შემცირდა და 9.21% შეადგინა. ხუთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი 0.24 პპ-ით 8.99%-მდე შემცირდა. ათწლიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი კი, 0.33 პპ-ით შემცირდა და 9.01% შეადგინა. გრძელვადიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთების შემცირების ერთ-ერთ ფაქტორი შესაძლოა ბაზარზე ინფლაციური მოლოდინების შემცირება იყოს.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შამოსავლიანობის გრადი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 447.7 მლნ ლარით, (წლიურად 7,093.9 მლნ ლარით გაიზარდა) 11,220.6 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მთლიანად ეროვნული ვალუდის რესურსის ბრუნვის ზრდამ განაპირობა. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუდის ბრუნვაზე მოდის (74.1%), რომლის მოცულობაც თვიურად 156.6 მლნ ლარით (1.8%-ით) შემცირდა. ხოლო ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა თვიურად 604.3 მლნ ლარით (26.2%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.15 პპ-ით შემცირდა და 10.53% შეადგინა. ხოლო უცხოური ვალუდის საპროცენტო განაკვეთი თვიურად 0.16 პპ-ით 1.25%-მდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ ნოემბერში ფულადი ბაზრის რესურსის 16.8% ერთ თვემდე ვალიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 84.6% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აბრეგატები

2022 წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 50.8 მლნ ლარით (0.9%) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის 5.5 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 25.0 მლნ ლარით (0.4 %-ით) გაიზარდა.


საბანკო სისტემაში შიდასამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 39.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო აუქციონებით ეროვნულ ბანკს ინტერვენციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა თვის განმავლობაში 110.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 71.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ნოემბერში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 123.6 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,169.0 მლნ ლარს გაუცოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში ნაღდი ფულზე მოთხოვნა 147.0 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 670.0 მლნ ლარით შემცირდა და 1,870.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელად 400 მლნ ლარზე შენარჩუნდა, ხოლო ერთდღიანი სესხი 36.8 მლნ ლარით შემცირდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთი 12.4 მლნ ლარით შემცირდა და 387.3 მლნ ლარს შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, განთავსდა და დაიფარა 20-20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მთლიანობაში, ნოემბერში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 719.2 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 2,623.2 მლნ ლარს გაუცოლდა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 100.0 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 100.0 მლნ ლარით გაიზარდა.


2022 წლის ნოემბერში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 9.7 მლნ ლარით გაიზარდა, M2 აგრეგატის (ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული და სადეპოზიტო ვალდებულებები უცხოური ვალუტით) მატების გავლენით. თავის მხრივ, M2 აგრეგატის ზრდა (გაიზარდა 385.6 მლნ ლარით) მეტწილად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატებამ განაპირობა (გაიზარდა 540.6 მლნ ლარით).

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

